

კვლევები: ქართული ენათმეცნიერება

უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში

რამაზ ქურდაძე

*პროფესორი, ქართველური ენათმეცნიერების
კათედრის ხელმძღვანელი, თსუ.*

დარეჯან თვალთვაძე

ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორი, თსუ

მაია ლომია

ასოცირებული პროფესორი, თსუ

ქეთევან მარგიანი-სუბარი

ასოცირებული პროფესორი, თსუ

რუსუდან ზექალაშვილი¹

ასოცირებული პროფესორი, თსუ

რეზიუმე: სტატია ეძღვნება ლინგვისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს - უარყოფის გამოხატვის ენობრივ საშუალებებს ქართველურ ენებში. ამ ტიპის კვლევა ტიპოლოგიური თვალსაზრისით პირველადაა ჩატარებული: ძველი და ახალი ქართულისა და უმწერლობო ქართველური ენების მასალების მიხედვით გამოყოფილი და გაანალიზებულია უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების გრამატიკული მოდელები, ყურადღება გამახვილებულია ორმაგი უარყოფის

¹ ქართული ენის ინსტიტუტის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით პროექტში მონაწილეობდნენ „ქართველური ენათმეცნიერების“ პროგრამის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები: მაია მადუაშვილი, ნინო ქებურია, მაგული ღამბაშიძე, ელენე ქადაგიშვილი, თამარ ჩანქსელიანი, გიორგი ჯღარკავა.

გამოხატვასა და მასთან დაკავშირებულ ნორმალიზაციის საკითხებზეც. კორპუსული და ბეჭდური ტექსტების ემპირიული მასალა დამუშავებულია დიაქრონიულ და სინქრონიულ ქრილში კვლევის აღწერით-სტატისტიკური და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების გამოყენებით. დადგენილია უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებების გამოყენების სიხშირეც. კვლევის შედეგების შედარება-შეჯერებით გამოვლენილია საერთოქართველური კანონზომიერებანი და თითოეული ქართველური ენის სპეციფიკა ამ თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: *ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური, უარყოფა, კატეგორია, ნაწილაკი, მორფოლოგია, მოდელი, ნაცვალსახელი*

2015 წლის თსუ შიდასაუნივერსიტეტო მიზნობრივი გრანტით დამუშავდა უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში. წინამდებარე სტატია ზემოხსენებული სამეცნიერო პროექტით შესრულებული სამუშაოს ნაწილია და მასში წარმოდგენილია უარყოფის გამოხატვის გრამატიკული მოდელები ძველი და ახალი ქართულისა და სხვა უმწერლობო ქართველური ენების მონაცემების მიხედვით; ასევე, სინქრონიულ დონეზე განხილულია ორმაგ უარყოფასთან დაკავშირებული საკითხები. ემპირიული მასალა დაემყარა კორპუსულ კვლევას; გამოყენებულ იქნა TITUS-ის, ARMAZI-სა და GEKKO-ს მონაცემთა ბაზები², ბეჭდურად გამოცემული ლაზური და სვანური ტექსტები. ძველი ქართული ენის მონაცემები დამუშავდა სინური მრავალთავის,

²<http://titus.Uni-frankfurt.de>; <http://www.Uni-frankfurt.de/armazi/>; <http://clarino.uib.no/gnc/document-element?session>

კორპუსის მონაცემების წვდომის ბოლო თარიღია 20.01.2016.

სახარების პრეაქტონური და აქტონური რედაქციებისა და გელათის ბიბლიის მიხედვით. კვლევის შედეგების შეჯერებით გამოვლინდა საერთო ქართველური კანონზომიერებანი და თითოეული ქართველური ენის სპეციფიკა საანალიზო საკითხთან დაკავშირებით.

უარყოფა უნივერსალური კატეგორიაა, თუმცა მისი გამოხატვის ფორმები განსხვავებულია არა მარტო არამონათესავე, არამედ მონათესავე ენებშიც. ამ საკითხის კვლევა *აქტუალურია* ქართველური ენების დიაქრონიული და სინქრონიული მასალების მიხედვით. ამგვარ *კვლევათა შედეგი* მნიშვნელოვანია როგორც საკუთრივ ქართველურ ენათა ისტორიისა და ტიპოლოგიის განსაზღვრისას, ისე ზოგადენათმეცნიერული, კულტუროლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით. ემპირიული მასალა დამუშავდა დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში კვლევის *აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი და დისტრიბუციული (სინტაგმატური)* მეთოდების გამოყენებით. მიღებული შედეგები საინტერესო და საჭიროა ლინგვისტებისთვის, ფსიქოლოგებისა და ფსიქოლინგვისტებისთვის, ასევე, ენის ისტორიისა და ნორმალიზაციის საკითხებით დაინტერესებულთათვის. კვლევა წარიმართა კომპლექსურად კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით.

სტატია შედგება ორი ნაწილისაგან: I. *უარყოფის გამომხატველი გრამატიკული მოდელები*, II. *ორმაგ უარყოფასთან დაკავშირებული საკითხები*

I. გრამატიკული მოდელები

- *უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა*
- *უარყოფითი ზმნიშედების სტრუქტურა*

<i>ძველ</i>	<i>ქართულში</i>	<i>უარყოფით</i>
<i>ნაცვალსახელთა</i>	<i>გრამატიკული</i>	<i>მოდელია:</i>
<i>უარყოფითი</i>	<i>ნაწილაკი</i>	<i>+ კითხვითი</i>
<i>ნაცვალსახელი:</i>	<i>(ვინ/რა(დ))</i>	<i>უარყოფითი</i>

ნაწილაკები შეიძლება წარმოდგენილი იყოს
შემდეგი ვარიანტებით:

არ//არა//არლა(რა)//არც(ა)//არცალა,
ვერ//ვერა//ვერლა(რა)//ვერც(ა),
ნუ//ნურა//ნულა(რა)//ნურც(ა)//ნურცალა.

დასტურდება შემდეგი უარყოფითი
ნაცვალსახელები: არავინ, ვერვინ, ნუვინ, არლარავინ,
ვერლარავინ, არარად, ვერარად, ნურად, არლარად,
ნურარად [13, გვ. 73], თუმცა ჩვენ მიერ შესწავლილ
ოთხ ტექსტში არ დადასტურდა ვერლარავინ. მეორე
მხრივ, აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილ
ნაცვალსახელთა ნუსხას დაემატა ორი ფორმა:
არღავინ და ვერღავინ:

არა + ვინ > არავინ... სიხარული თქუენი არავინ
მიგიღოს თქუენგან. [Sinai Polycephalion: Sin.Mr., 1, 3, 29
\(1v\)](#); არლა + ვინ > არღავინ: დაჰრქუამათ: ...ჰოვოთ
კიცჴ დაბმული, რომელსა კაცი არღავინ დაჴდომილ
არს. [Tetraevangelium \(redactio athonensis\): NT, Lk., 19,
30](#); არლარა + ვინ > არლარავინ: ამიერიტგან
არლარავინ აყუედროს გარდასლუად იგი მცნებათად...
[Sinai Polycephalion: Sin.Mr., 17, 91, 13 \(85v\)](#); ვერ + ვინ >
ვერვინ: ვერვინ შემძლებელ არს ღირსად პატივის-
ცემად მისა. [Sinai Polycephalion: Sin.Mr., 23, 139, 36
\(135r\)](#); ვერლა + ვინ > ვერღავინ: ვერღავინ იკადრა
სიტყვს-გებად წმიდისა ბასილისა
მაცილობელთაგანმან [Sinai Polycephalion: Sin.Mr., 11,
71, 28 \(68v\)](#); ნუ + ვინ > ნუვინ: და ნუვინ დააკლდებინ
წოდებასა ამას სიხარულისასა. [Sinai Polycephalion:
Sin.Mr., 24, 141, 24 \(136v\)](#);

არა + რა(დ) > არარად: და არარად მიუგო მას არცა
ერთისა სიტყვსათჴს... [Tetraevangelium \(redactio
praeathonensis\): NT, Mt., 27, 14](#); ... და არარა იყო
ჯელთა შინა მისთა. [Vetus testamentum iberice, redactio
Gelatica: VT, Ju., 14, 6 \(376v, 192r\)](#); არლა + რად >
არლარად: არცალა ვინ იკადრა მიერ დღითგან
კითხვად მისა არლარად. [Tetraevangelium \(redactio
athonensis\): NT, Mt., 22, 46](#); ვერა + რად > ვერარად: და
ვითარ ვერარად სარგებელ ექმნებოდა, მაშინლა წილ-
იგდეს. [Sinai Polycephalion: Sin.Mr., 19, 106, 7 \(100r\)](#); ნუ
+ რად > ნურად: თქუ ნურად გმოზად ღმრთისა მიმართ

და მოჰყუდე. [Sinai Polycephalion: Sin.Mr., 38, 214, 36 \(204v\)](#); ნურა + რად > ნურარად: და ჰრქუა მათ: ნურარად გაქუნ გზასა ზედა... [Tetraevangelium \(redactio athonensis\): NT, Lk., 9, 3.](#)

ძველ ქართულში უარყოფითი ზმნიზედების სტრუქტურაც უარყოფით ნაცვალსახელთა აგებულების მსგავსია: უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი ზმნიზედა/არს. სახელი. ზმნიზედების რაოდენობასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა [19, გვ. 141; 13, გვ. 159; 6, გვ. 64]. ყველა თვალსაზრისის გათვალისწინებით უარყოფითი ზმნიზედების საბოლოო ჩამონათვალი ასეთია: არასადა, ვერასადა, ნუსადა, არაოდეს, ვერაოდეს, ნუოდეს, არასადადო, არაჟამსა, თუმცა საანალიზოდ შერჩეულ ტექსტებში დასტურდება ორი მათგანი:

არა + სადა > არასადა:

...არასადა მცნებასა შენსა გარდავჰკედ, და მე არასადა მომეც თიკანი ერთი, რადთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე. [Tetraevangelium \(redactio praeathonensis\): NT, Lk., 15, 29](#); ნუ+სადა > ნუსადა: ... [ნუსადა წარსცე ქვასა ფერჯი შენი. Tetraevangelium \(redactio athonensis\): NT, Lk., 4, 11.](#)

არასადა ზმნიზედა ყველაზე ხშირად გვხვდება სინურ მრავალთავში; შემდეგ შეიძლება დასახელდეს სახარების პრეათონური და ათონური რედაქციები. ნუსადა ყველაზე პროდუქტიულია გელათის ბიბლიაში. სახარების ათონურ რედაქციაში გვხვდება მისი გამოყენების ორი, ხოლო სინურ მრავალთავში - ერთი შემთხვევა, მას ხშირად აქვს ნუუჟუე/ნუ ნაწილაკის გაგებაც.

ახალ ქართულ ენაში უარყოფას გამოხატავს უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია ნაწილაკები: არ(ა), ვერ(ა) და ნუ(რა). მათგან ერთ-ერთი ყოველთვის შედის უარყოფითი ნაცვალსახელის ან ზმნიზედის შემადგენლობაში, კერძოდ, უარყოფით ნაწილაკს ემატება კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ/რა): არავინ, ვერავინ, ნურავინ; არარა, ვერარა, ნურარა ან დაერთვის სიტყვები: ფერი/ნაირი/ვითარი: არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი;

არანაირი, ვერანაირი, ნურანაირი; არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი [ამის შესახებ იხ.18, გვ. 44].

მაგალითები ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან:

პირადად ჩემთან არავინ არ მოსულა

([id=240075157464347&cpos=28744449&corpus=grc](#));

ნურც ნურავინ შეეცდება

([id=240075206005831&cpos=84723278&corpus=grc](#));

გულმა ვერარა ვერ შეიყვარა

([id=240075206005831&cpos=17564283&corpus=grc](#));

ერთმანეთს ვერაფერი გავაგებინეთ

([id=240075206005831&cpos=28532808&corpus=grc](#));

ნურაფერი შეგვაშფოთებს

([id=240075206005831&cpos=19252237&corpus=grc](#));

ვერანაირი ექსპერტიზა ვერ ჩატარდება

([id=240075206005831&cpos=53608005&corpus=grc](#));

მათ არც არავითარი რწმენა არ გააჩნიათ...

([id=240075206005831&cpos=82455112&corpus=grc](#));

ვერავითარი პოლიტიკური რეჟიმი ვეღარ დაგიცავს

([id=240075206005831&cpos=141352685&corpus=grc](#)).

უარყოფითი ზმნიშედების საწარმოებლადაც გამოყენებულია იგივე ნაწილაკები არ(ა), ვერ(ა), ნუ(რა), რომლებსაც დაერთვის ადგილის, დროისა და ვითარების გამომხატველი ზმნიშედები: -სად, -დროს, -ნაირად, -გზით: არსად, ვერსად, ნურსად; არასდროს, ვერასდროს, ნურასდროს; არანაირად, ვერანაირად, ნურანაირად; არასგზით, ვერასგზით, ნურასგზით:

არსად ვმუშაობ

([id=240075206005831&cpos=28636125&corpus=grc](#));

ვერსად ვეღარ ვიპოვე

([id=240075206005831&cpos=10773036&corpus=grc](#));

თუ ვინმეს სიტყვა ლობირება ეხამუშება, ნურსად იტყვის

([id=240075206005831&cpos=55302476&corpus=grc](#)).

ზმნიშედა დროს, თავის მხრივ, სახელის მიცემითი ბრუნვის უცვლელი ფორმაა, ბრუნვის

ნიშანი -ს ემატება მასთან გამოყენებულ ნაწილაკსაც:
არა-ს+დრო-ს, ვერა-ს+დრო-ს, ნურა-ს+დრო-ს. მაგ.:

არასდროს არც მომსალმებია

([id=240075157464347&cpos=140328098&corpus=grc](#));

ბურდული კი ვერასდროს იქნებოდა ინტრიგების
ეპიცენტრში

([id=240075206005831&cpos=45943848&corpus=grc](#));

ბესიკის ტომს ნურასდროს გადაშლის

([id=240075157464347&cpos=107601068&corpus=grc](#)).

ვითარების ზმნიზედის გადმოსაცემად
გამოყენებულია სახელი ვითარებითი ბრუნვის
ფორმით -ნაირად: არანაირად არც
ფალსიფიკაციასთან და არც ხარისხთან არ გვაქვს
საქმე ([id=240075206005831&cpos=2062884&corpus=grc](#));
წუთისოფლის დაშიფრულ წერას ვერანაირად ველარ
უგებდა

([id=240075206005831&cpos=140371533&corpus=grc](#)).

უარყოფით ზმნიზედაში შემავალი ერთ-ერთი
ლექსიკური ერთეული მოქმედებითი ბრუნვის
ფორმაა -გ ზით:

არასგ ზით არ უნდა ვაწყენინოთ მოსეს და
დავითის ხალხს

([id=240075206005831&cpos=31613055&corpus=grc](#));

ბულბულის გალობის მოსმენის მსურველი
ყვავის ყრანტალით ვერასგ ზის დაკმაყოფილდება
([id=240075206005831&cpos=52764652&corpus=grc](#)).

ამრიგად, ქართულ ენაში, ჯერ კიდევ ძველი
ქართულიდან მომდინარე, უარყოფით
ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა ჩამოყალიბებული
გრამატიკული მოდელი არსებობს უარყოფითი
ნაწილაკისა და კითხვითი სიტყვების/სახელების
მონაწილეობით. კვლევისას დადასტურებული
უარყოფითი ნაცვალსახელები მეტ-ნაკლები
პროდუქტიულობით ხასიათდება. ძველი ქართულის
წერილობით ძეგლებში ყველაზე ხშირად გვხვდება:
არავინ, ვერვინ, ნუვინ, არარად, ვერარად
ნაცვალსახელები. აღსანიშნავია, რომ ძველ
ქართულში გამოყენებული ყველა უარყოფითი
ნაცვალსახელი ახალ ქართულ ენაში არ გადმოსულა;
მაგ.: არარად, ვერარად, ვერვინ, ნუვინ, არღარად.
ზოგიერთი ფორმის არსებობა მოდელის მიხედვით

მოსალოდნელი იყო ძველ ქართულშივე, მაგრამ ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში არ დადასტურდა: *არცრაჲ, არცრა, ვერცრა, ნურცრა, ნურცრაჲ, ნურცარაჲ, ნურცვინ, ვერცაღავინ, ნურცაღავინ.*

მეგრულში საკუთრივ უარყოფით ნაცვალსახელებად დასახელებულია *მიტა* „არავინ“ და *მუტა* „არაფერი“ ლექსიკური ერთეულები, რომლებიც რთული შედგენილობის არიან და ზმნას ყოველთვის დადებითი ფორმით შეიწყობენ (*მიტა მურს* „არავინ მოდის//მოვა“, *მუტა უჭირს* „არა//არაფერი უშავს“). ამ ეტიმოლოგიის მიხედვით, „მიტა“, შემადგენელ ნაწილთა გათვალისწინებით, შემდეგნაირად დაიშლება: *მი* = „ვინ“ (კითხვითი ნაცვალსახელი), *+ თი* = „ც(ა)“ (მიმართებითი ნაწილაკი) *+ ა < ვა(რ)* (უარყოფითი ნაწილაკი). ე.ი. *მიტა < მი-თი-ვა(რ)* (სიტყვასიტყვით: „ვინ-ც არ“=„არავინ“). ასევეა *მუტა* ნაცვალსახელიც: *მუ* = „რა“ *+ თუ (< თი) + ა < ვა(რ)* - ე.ი. *მუტა < მუ-თუ (<თი) ვა(რ)*(სიტყვასიტყვით *რა-ც არ* =„არაფერი“ [10, გვ. 256]. რაკი ამ ნაცვალსახელთა შემადგენლობაში, თუნდაც ნაშთის სახით, უარყოფითი ნაწილაკის არსებობა ივარაუდება, ვფიქრობთ, ეს განაპირობებს მათთან ზმნის შეხამებას დადებითი ფორმით: [სქანი მეტი მიტა კუნანია ... „შენს მეტი არავინ გეყავსო...“](#) [Megrelian Texts ed. Qipshidze: IQ, ZS, XIII, 5 \(31, 20\).](#)

უარყოფის სემანტიკა მეგრულში გადმოიცემა არა მარტო უარყოფითი ნაცვალსახელებით, არამედ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების მონაწილეობითაც. კერძოდ, საუბარია *მითინი* „ვინმე“, *მუთუნი* „რამე“, *ნამუთინი* „რომელიმე“ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებზე, რომელთა შემდეგ, როგორც წესი, კონსტრუქციაში დგას ზმნა *ვა(რ)* „არა“/„ვერა“ უარყოფით ნაწილაკთან ერთად. თავად განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულში რთული აგებულებისაა და საყრდენად კითხვით ნაცვალსახელებს იყენებს [16, გვ. 049; 12, გვ. 224-225]: [...მუთუნი ვადვარკათ შხვასიე!](#) „...არაფერი არ დავაკლოთ სხვასო!“ (Megrelian Texts ed. Xubua: MX, 21, 86, 6).

ამრიგად, უარყოფითი ნაცვალსახელის სემანტიკა მეგრულში გადმოიცემა შემდეგი

გრამატიკული მოდელით: *განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი + უარყოფითი ნაწილაკი*, თანაც დასტურდება როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობა, თუმცა საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელი გადმოცემულია მხოლოდ პირდაპირი წყობით, ე. ი. *განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი + უარყოფითი ნაწილაკი*: *მითინი ვარ*, რაც ნიშნავს „არავინ“. შეიძლება ითქვას, რომ ორივე წყობის დროს უარყოფითნაწილაკიანი ზმნა ცდილობს არ დაშორდეს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს, რადგან მათ ინტონაციურ ერთიანობას შემოაქვს უარყოფის სემანტიკა.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულში უარყოფითი ნაცვალსახელების ფუნქციითაც გამოიყენება, მაგრამ ეს არ ეხება ყველა ჯგუფის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს; კერძოდ, *მიგიდარენი* და *მიგიდა* „ვიღაც (რომ არის)“ ტიპისა არასოდეს არ დასტურდება აღნიშნული ფუნქციით, განსხვავებით *მითინი*, *მუთუნი*, *ნამუთინი* განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისაგან. ამ ნაცვალსახელთა სამი ჯგუფის შესახებ მსჯელობს ი. ყიფშიძე [16, გვ. 049].

მეგრულში უარყოფითი ზმნიზედაა *სოთა* „არსად//ვერსად“ (სიტყვასიტყვით „სადა-ც არ//სადაც იქნება არ“), რომელიც აგებულია მხრივ *მითა* და *მუთა* ფორმების მსგავსია, შეიცავს კითხვით სიტყვასა და უარყოფითი ნაწილაკის ნაშთს. ზმნა მასთანაც დადებითი ფორმით დგას: *სოთა ვორეჟ მანტებელი* „არსადა ვარ გამეცევი“ [Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr.Dict., m, mant'ebel-i, 11579](#). უარყოფის სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება აგრეთვე *სოთინი* განუსაზღვრელობითი ზმნიზედა, რომელსაც ემატება უარყოფითი ნაწილაკი *ვარ* (შდრ. I ჯგუფის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების მიერ უარყოფითობის წარმოება): *სერიში გიოთანაფალჟ სოთინი ვამაშის* „ღამის გასათევი ვერსად ვიშოვეთ“ [Megrelian Texts \(from Sbornik Materialov\): SM, 10/2, 4, 331, 67](#). როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების შემთხვევაში გვქონდა, აქაც შეიძლება დადასტურდეს შებრუნებული წყობა, თუმცა სიხშირით პირდაპირი

ჭარბობს და უარყოფითი ზმნიზედის გადმოსაცემად გამოიყენება, შდრ: *სოთინი ვარ* =არსად.

უარყოფის სემანტიკის შემცველია ასევე დროის აღმნიშვნელი ზმნიზედა *დღას „დღეს“ ვა(რ) „არა“* უარყოფით ნაწილაკთან ერთად (*დღას ვარ* - ეტიმ. „არადღეს“, სადაც „დღე“ აღნიშნავს ზოგადად დროს, ე.ი. „არასდროს“), რომელიც შეიძლება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობით დადასტურდეს, თუმცა უფრო პროდუქტიულია პირდაპირი წყობა: *ეგგურა დღას ვააფუ ე ბოშის ნაძირეფი „ასეთი არასოდეს არ აქვს ამ ბიჭს ნანახი“* <http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=239320844747656&cpos=6766>³.

მაშასადამე, მეგრულში საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები რთული აგებულებისაა: შეიცავენ კითხვით სიტყვებსა და ნაწილაკებს, მათ შორის უარყოფითი ნაწილაკის ნაშთსაც. უარყოფის სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება კითხვითი სიტყვის შემცველი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების განსაზღვრული ჯგუფი უარყოფით ნაწილაკთან კომბინაციით.

ლაზურში საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელები არ დასტურდება. ამ ფუნქციით გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების გამარტივებული ფორმები: *მითი „არავინ“* და *მუთუ „არაფერი“*, რომლებიც კითხვით ნაცვალსახელებს შეიცავენ. უარყოფითობის გადმოსაცემად ემატებათ *ვარ „არა“* ნაწილაკი. გრამატიკული მოდელი შემდეგნაირად გადმოიცემა: *განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი + ვა(რ)* (უარყოფითი ნაწილაკი), რომელსაც უშუალოდ მოსდევს ზმნა კონსტრუქციაში: *მით ვარ დოსქიდუ-დორენ „არავინ არ დარჩენილიყო“* [3, გვ. 72]; *მა სქან საღლუდიშენ ბაშქა მუთ ვარ მინონ „მე შენი ჯანმრთელობის გარდა არაფერი არ მინდა“* [3, გვ. 72].

³ შდრ.: „დღას“ არსებითი სახელის მნიშვნელობით: *დღას ვასერუანს ტყურაე „დღეს არ აღამებს ტყუილუბრალოდ“* [8, 221-231].

ლაზურში უარყოფის სემანტიკის
გადმოსაცემად გამოიყენება სოთინი
განუსაზღვრელობითი ზმნიზედის გამარტივებული
სოთი ვარიანტი, რომელიც კითხვით ზმნიზედას
შეიცავს; ემატება ვარ უარყოფითი ნაწილაკი:
ლაზუტი სოთი ვარ ორტუ „სიმინდი არსად არ იყო“
[7, გვ. 219]. ასევე გამოიყენება ლაზურში თურქული
უარყოფითი ნაწილაკი „ჰიჩ“, უარყოფითი
ზმნიზედის მნიშვნელობით: დაჰა ჰიჩ
ჰამდორაშქულე ვა ბიდი ჰიმ ჩიოიშა „ამის შემდეგ
აღარ წავსულვარ (არასოდეს წავსულვარ) იმ
სოფელში [7, გვ. 220].

ამრიგად, ლაზურში უარყოფის სემანტიკის
შემცველი გრამატიკული მოდელი შემდეგნაირია:
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი/ზმნიზედა +
უარყოფითი ნაწილაკი.

სვანური ენა, ქართულთან შედარებით,
მდიდარია უარყოფითი ნაცვალსახელებით,
რომელთა გამოყენების როგორც არეალი, ასევე
მნიშვნელობა განსხვავებულია არა მარტო
დიალექტთა, არამედ კილოკავების მიხედვითაც.

ქართულ „არ“, „ვერ“ და „ნუ“ უარყოფით
ნაწილაკებს სვანურში სემანტიკურად შეესაბამება
უარყოფით ნაწილაკთა ბევრი ვარიანტი:

არა – მჰ, მჰმ(ა), მჰ, მრ, მრმ(ა), მჰდ(ე), მრდ(ე),
მამა, მადმა, მად(ე), მჰდ(ე), მჰდმ(ა), მრდმა, მოდმა,
მოდე, მჰდმ-მჰჩ/მაჩ, მჰჩჩ, მჰჩშ, დეს(ა), დესა/ცა,
დემ(ა), დემამ, დემის, დემე(გ), დემ, დემა, დემის,
ბაი...; ვერ- დეშ, დეშსა, დეშმა, მეშმამ, დოშ...; ნუ-ნო,
ნოს(ა), ნომ(ა), ნომის, ნოს(ა), ნომ(ა), ნუ/გმ(ა), ნომის,
(ლშხ.), ნო/ემეგ, ნემ...

აღნიშნულ ნაწილაკთა უმრავლესობა მცირე
ნიუანსობრივ სხვაობას ავლენს, მაგრამ, მიუხედავად
ამისა, კონტექსტში ურთიერთჩანაცვლება ხშირად
უმართებულოა; შესაბამისად, მათი შემცველი
ნაცვალსახელებიც სემანტიკურად მსგავს ვითარებას
აჩვენებენ. მაგალითად, მამ(ა) ნაწილაკის შემცველი
უარყოფითი ნაცვალსახელები, მადმა’
ნაწილაკიანებთან შედარებით,
ნაკლებკატეგორიულია და უფრო ნეიტრალური
ნეგაციის დროს გამოიყენება, ხოლო მადმა-ს

შემცველი ნაცვალსახელები უფრო კატეგორიულ (კონკრეტული ფაქტის საწინააღმდეგო) უარყოფას გამოხატავენ. ამ სემანტიკური განსხვავების საფუძველი თავად ნაწილაკების სტრუქტურაშია: კატეგორიულობას სწორედ ის ერთეულები გახაზავენ, რომელთა შემადგენლობაში უარყოფითობის ორი სხვადასხვა ელემენტი (მ, დ) ერთდროულად მონაწილეობს (მამაგუემ „არ“ ან „არაფერი“, მადმაგუემ „საერთოდ არაფერი“). მამ მაკუ „არ მინდა“, მად მაკუ „არაფრით არ მინდა (კონკრეტული ფაქტი ან საგანი)“ [9, გვ. 27]. ხშირად მსგავს ფორმათა ზედმიწევნით გადმოცემა ქართულად თითქმის შეუძლებელია.

სვანური ენა უარყოფით ნაცვალსახელთა გადმოსაცემად იყენებს შემდეგ გრამატიკულ მოდელებს:

(1) უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი ნაცვალსახელი: დჰრ („არავინ“) = დე („არ“) + ძჰრ („ვინ“); დეშძჰრ („ვერავინ“) = დეშ („ვერ“) + ძჰრ („ვინ“); ნოჰრ („ნურავინ“) = ნომა („ნუ“) + ძჰრ („ვინ“); დე/ესამა („არაფერი, არარა. არა+რამე“) = დესა („არა“) + (ჰ)ესა+მე[დ] („რა/რამე“); დეშმა („ვერაფერი“) = დეშ („ვერ“) + მა[დ] („რა“); ნო/ოსამა („ნურაფერი“) = ნო/ოსა („ნუ“) + მძ[დ] („რა“), დეხედა („არცერთი“) = დე („არა“) + ხედა („რომელი“), დეშმა („ვერაფერი“) = დეშ, დოშ... („ვერ“) + მჰ („რა“), ხედა („რომელი“) და ა. შ.; ათხე დროდჰი დჰრ იგემ ამჰი კოტოლ ქოროლარს, „ამ დროში არავინ იშენებს („იდგამს“) ასეთ პატარა სახლებს“ SPT, IV, 49, 64, 5; ჟი დეხედა ჭიქს ლემანგომილლი „თურმე არცერთ ჭიქას (არ) ავსებდა“ SPT, III, 126, 116, 13; მიჩა ძეხვს დეშმა ახმეკრანღვნე, დე იშგენს ეს „მის („თავის“) ცოლს ვერაფერი გააგებინა, ვერც სხვებს“ SPT, IV, 84, 123, 20;

(2) უარყოფითი ნაწილაკი + არსებითი სახელი გუემ („საქმე“): მამგუემ/მამაგუემ/მადმაგუემ = მამ/მადმა („არა“) + გუემ („საქმე“; შდრ, ქართ. „არა+ფერი“); მადმაგუემ ხომკენა „არაფერი უჭამია“ Sv-dict., A', s'shgni, 1955. ლჷიდ ჩუ ნომოდგ ადგჰრ ი ლერშენიდ ესერ დემ ხორშენი დემგაუშუ „მთლად ნუ მომკლავო და ხსენებითაც არ გიხსენებო არაფერს“ [15, 316];

(3) უარყოფითი ნაცვალსახელი +
შესაძლებლობის ნაწილაკი მოშ: დარმოშ („ვერავინ“)
(შდრ. მოდელი (1): დემშარ);

სვანურში უარყოფითი ზმნიზედების
სტრუქტურული მოდელიც უარყოფითი
ნაცვალსახელების მსგავსია:

(4) უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი
ზმნიზედა: დემ(ე) („არსად“) -დე-მ („არ“) + იმე
(„სად“): მაჰურენე მუხუბემი ცხუიდუე დემე
ხეგუბენიხ „უმცროსი ძმის ისარს ვერსად პოულობენ
(სიტყვასიტყვით: „არსად ეპოვებათ“) [14, გვ. 158];
დემეგ-იმეგ („არსად“), დემეგ („არა“) + იმეგ („სად“):
აშვ სოფელს ნენჩა ღალ ისგუხი დემეგიმეგ ხარ „ერთ
სოფელს ტყე ახლოს არსად აქვს“ Svan Prose Texts II
(Lower Bal): SPT, II, 125, 250, 3. დემომა („არასოდეს“),
დე(მე) („არა“) + შომა („როდის“): დავ დემომა ღვრდა
ერხენჩუ, დემეგ ხოშიდდა „დევი არასოდეს მიდოდა
იქით („იქით მხარეს“), არ ჰქონდა ნებადართული“
Svan Chrestomathy: SC, 245, 225, 4.

(5) უარყოფითი ნაწილაკი + „წინდებულ-
თანდებული“: დემთე („არსაით“) – დემ („არ“) + თე
(„კენ“): ღვაშარს ქალუზ დემთე ხარახ „ჯიხვებს
წასასვლელი არსაით ჰქონიათ“ [14, გვ. 84];

(6) უარყოფითი ნაწილაკი + არსებითი სახელი
ჩიქ („დრო, ჟამი“): დემჩიქს/დემჩიქქა („არასდროს“) =
დემე „არა“ + ჩიქ-ს „დრო-ს“/ჩიქ-ქა „დროზე“:
ჯუინალდ მეთხუძარ ჰარიდ დემჩიქქა ტეხენდა
„ძველად მონადირე ცარიელი („ცარიელად“)
არასდროს ბრუნდებოდა“ [14, გვ. 83];

(7) უარყოფითი ზმნიზედა + შესაძლებლობის
ნაწილაკი მოშ: დემთე-მოშ („ვერსაით“): ჯგვრავს
ესნარ შუკუ ჩუთქარუჰნ ი ქა დემთემოშ ხეხოლი
„წმინდა გიორგის თურმე გზა აებნა („დაეკარგა“) და
ვერსაით აგნებს“ [14, გვ. 132];

ამრიგად, უარყოფის გადმოცემის გრამატიკული
მოდელები ქართულ ენასა და სხვა უმწერლობო
ქართველურ ენებში ერთმანეთის მსგავსია

⁴ მეორე კომპონენტი (ჩიქ) მხოლოდ ზმნიზედების
შემადენლობაში გვხვდება: ამჩიქქა „ამდროს“, ამჩიქდ, „ამ
დრომდე“ ეჯჩიქქა „იმდროს“, ამჩიქდ „ამ დრომდე“...

შედგენილობის მიხედვით; კერძოდ, მასში მონაწილეობენ კითხვითი სიტყვები და ნაწილაკები. „არა“-ს მნიშვნელობის უარყოფით ნაწილაკთა პოზიცია განსაზღვრულია: ქართულსა და სვანურში ნაწილაკი უსწრებს კითხვით სიტყვას, ხოლო მეგრულსა და ლაზურში - მოსდევს. უარყოფით ნაწილაკთა სიუხვითა და სემანტიკის მრავალფეროვნებით ქართველურ ენებს შორის სვანური გამოირჩევა. ამასთან, როგორც ნაცვალსახელებში, ასევე ზმნიზედებში დამატებით დასტურდება განსხვავებული მოდელი: *უარყოფითი ნაცვალსახელი/ზმნიზედა + შესაძლებლობის ნაწილაკი მოშ.*

II. ორმაგ უარყოფასთან დაკავშირებული საკითხები

ქართულ ენაში გვხვდება როგორც ერთმაგი, ისე ორმაგი უარყოფის შემთხვევები. *ერთმაგია* უარყოფა, როცა გამოყენებულია მხოლოდ ერთი უარყოფითი სიტყვა: *ნაცვალსახელი, ზმნიზედა ან ნაწილაკი.* უარყოფა *ორმაგია*, თუკი უარყოფითი ნაცვალსახელის ან ზმნიზედის გარდა, წინადადებაში გვხვდება უარყოფითი ნაწილაკიც. მაგ., *არ მოვიდა; არავინ მოვიდა; შდრ. არავინ არ მოვიდა; კერსად ვერ ვიპოვე.*

ამ საკითხის თეორიული მხარე ქართულ ენაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ჭრილში. გარდა ამისა, ყურადღება მიქცეულია ორმაგი უარყოფის გამოყენების გრამატიკულ-სტილისტურ ასპექტებზეც [5; 21; 17; 11; 2; 1;4]. ვ. თოფურიას გამოკვლევის თანახმად, ორმაგი უარყოფა X-XI საუკუნეებამდე ძველი ქართული ენის ორიგინალურ თუ ბერძნულიდან ნათარგმნ ტექსტებში არ გამოიყენებოდა. მეცნიერი ასახელებს ადიშის ოთხთავს, რომელშიც ორმაგი უარყოფის ერთადერთი მაგალითია, თუმცა ამასაც შემთხვევითობას მიაწერს.

ვ. თოფურიას შეხედულების თანახმად, ორმაგი უარყოფა ქართული ენისთვის მეორეული მოვლენაა და საშუალო ქართულიდან იკიდებს ფეხს. *ვეფხისტყაოსანში* უკვე თანაარსებობს ორივე სახის

უარყოფა. მეცნიერის ვარაუდით, ამგვარი ფორმები ქართულ კილოებში უცხო ენათა გავლენის გარეშე ჩამოყალიბდა და „ორმაგი უარყოფა ქართული ბუნებისაა“ [5, გვ. 322].

რაც შეეხება ცალმაგი და ორმაგი უარყოფის გამოყენებას, მათი „ურთიერთმონაცვლეობა თავისუფალია და სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება“ [1, გვ. 178], მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში არჩევანი აღარაა დამოკიდებული ავტორის სურვილზე, არამედ ორმაგი უარყოფა აუცილებელია: 1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა გათიშულია ზმნისაგან; 2. როცა ნაცვალსახელი პრეპოზიციული მსაზღვრელია; 3. როცა უარყოფითი სიტყვები - ნაცვალსახელი ან ნაწილაკი -*ცა* ნაწილაკიანია [11; 1, გვ. 178; 4, გვ. 124-125]. ამ ტიპის შეცდომები მასმედიის ენაში შეისწავლა ლ. გეგუჩაძემ და ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტები რატომღაც ხშირად ანიჭებენ უპირატესობას ერთმაგ უარყოფას მაშინაც კი, როცა ორმაგია აუცილებელი [2, გვ. 32-40].

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ერთმაგი და ორმაგი უარყოფის გამოყენების სიხშირე და თავისებურებები თანამედროვე ქართულში. კორპუსული მეთოდოლოგიის მოშველიება სანდო სტატისტიკურ სურათს გვიჩვენებს.

ეროვნულ კორპუსში დადასტურდა ყველა უარყოფითი ნაცვალსახელი ცალკეც და ნაწილაკთან ერთადაც: *არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი; არავინ, ვერავინ, ნურავინ; არანაირი, ვერანაირი, ნურანაირი; არავითარი, ვერავითარი; არარა, ვერარა*. შედარებით იშვიათად გამოიყენება ნაცვალსახელები *ნურავითარი* და *ნურარა* (*ნურარა* ზოგჯერ გაყოფილია ორ ნაწილად: *ნურა... რა*). ორმაგი უარყოფის გამოსახატავად ამ ნაცვალსახელებთან გვხვდება უარყოფითი ნაწილაკები *ც-ს* დამატებით ან მის გარეშე: *არ(ც), აღარ(ც)*; ნაწილაკი ზმნასთან ერთად იშვიათად შეიძლება უსწრებდეს კიდევ ნაცვალსახელს.

ქვემოთ წარმოვადგენთ უარყოფით
ნაცვალსახელთა გამოყენების სტატისტიკურ
მონაცემებს (ცალკე და ნაწილაკებთან ერთად):

ნაცვალ- სახელებ ი	სულ	აქედა ნ ორმა გი	ნაცვალსახელთან გამოყენებული ნაწილაკები				ჯერ ნაწილაკი, შემდეგ ნაცვალსახელი	
			არ	არც	ალარ	ალარც	არც+ ნაცვ.	ალარც + აცვ.
არაფერი	36 49 5	3 840	არ	არც	ალარ	ალარც	არც+ ნაცვ.	ალარც + აცვ.
ვერაფერ ი	4621	261	ვერ	ვერც	ველარ	ველარც	ვერც+ ნაცვ.	ველარ +ნაცვ.
ნურაფერ ი	27	5	ნუ	ნურც	ნულარ	ნულარც	ნურც+ნაც ვ.	ნულარ +ნაცვ.
არავინ	21 24 8	2 177	არ	არც	ალარ	ალარც	არც+ნაცვ.	ალარც + აცვ.
ვერავინ	6 301	611	ვერ	ვერც	ველარ	ველარც	ვერც+ნაცვ	ველარ +ნაცვ.
ნურავინ	383	46	ნუ	ნურც	ნულარ	ნულარც	ნურც+ნაც ვ.	ნულარ +ნაცვ.
არანაირ ი	9 661	87	არ	არც	ალარ	ალარც	არც+ნაცვ.	ალარც + აცვ.
ვერანაირ ი	655	4	ვერ	ვერც	ველარ	ველარც	ვერც+ნაცვ	ველარ +ნაცვ.
ნურანაი რ(ი)	8	7	ნუ	0	0	0	ნუ+ნაცვ.	0
არავითა რი	7 489	52	არ	არც	ალარ	ალარც	არც+ნაცვ.	ალარც + აცვ.
ვერავით არი	402	3	ვერ	ვერც	ველარ	ველარც	ვერც+ნაცვ.	ველარ +ნაცვ.
ნურავით არი	7	6	ნუ	0	0	0	ნუ+ნაცვ.	0
არარა	125	2	არ	არც	ალარ	ალარც	არც+ნაცვ.	ალარც + აცვ.
ვერარა	35	12	ვერ	ვერც	ველარ	ველარც	ვერც+ნაცვ	ველარ +ნაცვ.
ნურა... რა	3	0	0	0	0	0	0	0

მაგალითები: ჯერ არაფერი არ არის

დაკარგული (id=240075781283829&cpos=28666052&corpus=grc); ამ პროცესს ვერაფერი ველარ შეაჩერებს (id=240075781283829&cpos=68224037&corpus=grc); პირადად ჩემთან არავინ არ მოსულა (id=240075781283829&cpos=28744443&corpus=grc); ახლა კი მათ ხელს ვერავინ ველარ შეუშლის (id=240075781283829&cpos=54866641&corpus=grc); ნურავინ ნუ იმუქრება და ნუ გვაშინებს წასვლით (id=240075781283829&cpos=46169246&corpus=grc); ჭირი არანაირი არ ვარგა (id=240075781283829&cpos=51154703&corpus=grc); მასზე ვერც ვერანაირი ექსპერტიზა ვერ ჩატარდება (id=240075781283829&cpos=53608005&corpus=grc); მათ არც არავითარი რწმენა არ გააჩნიათ (id=240075781283829&cpos=82455112&corpus=grc); ვერავითარი პოლიტიკური რეჟიმი ველარ დაგიცავს (id=240075781283829&cpos=141352680&corpus=grc); გულმა არარა არ გაიკარა (id=240075781283829&cpos=17564207&corpus=grc); [id=240075781283829&cpos=115713741&corpus=grc](#); მაგის ნურა გეფიქრებათ-რა (id=240080269683483&cpos=143562809&corpus=grc).

კორპუსში გვხვდება ყველა უარყოფითი ზმნიზედა როგორც ცალკე, ისე უარყოფით ნაწილაკთან ერთად, გარდა ორისა: ნურანაირად და არავ ზით: არსად, ვერსად, ნურსად, არასდროს//არასოდეს, ვერასდროს//ვერასოდეს, ნურასდროს//ნურასოდეს, არანაირად, ვერანაირად, არასგ ზით, ვერა(ს)გ ზით. ორმაგი უარყოფის გამოსახატავად ამ ზმნიზედებთან გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკები ც-ს დამატებით ან მის გარეშე: არ(ც), აღარ(ც).

უარყოფით ზმნიზედათა გამოყენების სტატისტიკური მონაცემები მოცემულია სქემაში:

ზმნიზედები	სულ	აქედან ორმ	ზმნიზედებთან გამოყენებული ნაწილაკები	ჯერ ნაწილაკი, შემდეგ ზმნიზედა
------------	-----	------------	--------------------------------------	-------------------------------

		აგო						
არსად	5095	981	არ	არც	აღარ	აღარც	არც+ზმნიზ.	აღარც+ზმნიზ.
ვერსად	1507	181	ვერ	ვერც	ვეღარ	ვეღარც	ვერც+ზმნიზ.	ვეღარც+ზმნიზ.
ნურსად	27	7	ნუ		ნულა	0	ნუ+ზმნიზ.	0
არასდროს	8718	962	არ	არც	აღარ	აღარც	არც+ზმნიზ.	აღარც+ზმნიზ.
არასოდეს	13219	1504	არ	არც	აღარ	აღარც	არც+ზმნიზ.	აღარც+ზმნიზ.
ვერასდროს	1230	173	ვერ	ვერც	ვეღარ	ვეღარც	ვერც+ზმნიზ.	ვეღარც+ზმნიზ.
ვერასოდეს	2077	302	ვერ	ვერც	ვეღარ	ვეღარც	ვერც+ზმნიზ.	ვეღარც+ზმნიზ.
ნურასდროს	32	8	ნუ	ნურც	ნულარ	ნულარც	ნურც+ზმნიზ.	ნულარც+ზმნიზ.
ნურასოდეს	87	19	ნუ	ნურც	ნულარ	ნულარც	ნურც+ზმნიზ.	ნულარც+ზმნიზ.
არანაირად	1461	1228	არ	არც	აღარ	აღარც	არც+ზმნიზ.	აღარც+ზმნიზ.
ვერანაირად	703	567	ვერ	ვერც	ვეღარ	ვეღარც	ვერც+ზმნიზ.	ვეღარც+ზმნიზ.
ნურანაირად	0	0	0	0	0	0	0	0
არასგზით	117	91	არ	არც	აღარ	აღარც	არც+ზმნიზ.	აღარც+ზმნიზ.
არაგზით	0	0	0	0	0	0	0	0
ვერასგზით	153	99	ვერ	ვერც	ვეღარ	ვეღარც	ვერც+ზმნიზ.	ვეღარც+ზმნიზ.
ვერაგზით	7	3	ვერ	0	0	0	0	0

მაგალითები: არსად არ არის ნათქვამი...
[\(id=240075781283829&cpos=49986401&corpus=grc\)](#); შენ
 ნურსად ნუ წახვალ ხვალ
[\(id=240075781283829&cpos=141951921&corpus=grc\)](#);
 იგინი არასდროს აღარ შეიყრებიან ერთად
[\(id=240075781283829&cpos=8386282&corpus=grc\)](#);

დმერთო, ნურასდროს ნუ დაგვაცილებ!
(id=240075781283829&cpos=82886349&corpus=grc);
ასეთი პრობლემა არანაირად არ აწუხებთ
(id=240075781283829&cpos=45196232&corpus=grc);
რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს
გამორიცხვით არასგზით არ დაიწერება
(id=240075781283829&cpos=75971720&corpus=grc).

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში (GEKKO)
სულ მოძიებულია უარყოფის გამომხატველი **121 859**
კონტექსტი, მათგან ორმაგ უარყოფას შეიცავს **11 233**
(დაახლ. **9,21%**). ეს მონაცემები ადასტურებს
მეცნიერთა დაკვირვებას, რომ ერთმაგი და ორმაგი
უარყოფა თანამედროვე ქართულში თანაარსებობს,
თუმცა ერთმაგი მაინც სჭარბობს ორმაგს. GEKKO-ს
მასალის მიხედვით მხატვრულ ლიტერატურაში
თითქმის არ გვხვდება ერთმაგი უარყოფა იქ, სადაც
ორმაგი უარყოფაა აუცილებელი. მასმედიის ენაში
ასეთი შემთხვევები აღმოჩნდა, როცა უარყოფითი
ნაცვალსახელი (არანაირი, ვერანაირი, ნურანაირი,
არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი)
მსაზღვრელია. მაგ.: დეკანოსიძეს თითქმის არანაირი
პრობლემა შექმნია
(id=240075206005831&cpos=28557759&corpus=grc).

კორპუსის მონაცემებით დასტურდება ისიც,
რომელ ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან
გვხვდება უფრო ხშირად ერთმაგი უარყოფა (მაგ.,
„არაფერი“: 36 495 კონტექსტიდან მხოლოდ 3 840-ია
ორმაგი) და რომელთან ენიჭება უპირატესობა ორმაგ
უარყოფას (მაგ., „არანაირად“: 1 461 მაგალითიდან
ორმაგია 1 228).

სვანურისათვის ორმაგი უარყოფა სრულიად
უცხოა. არ ითქმის არა მხოლოდ ისეთი ფორმები,
როგორიცაა „არავინ არ მოვიდა“ (სწორია *დჳრ ანჳდ*
„არავინ მოვიდა“), არამედ ერთ კონტექსტში
უარყოფითი ნაცვალსახელისა და ზმნიზედის
გამოყენებაც უჩვეულოა; ასე მაგალითად, „არავინ
არსად მიდის“ სვანურად იქნება *დჳრიმთ ჴსხრი* (<
დჳრ იმთე ესხრი), სიტყვასიტყვით: „არავინ სად
მიდის“; „არასდროს არავინ მოდიოდა“ – *დეშომა ძჳრ*
ანდგრდა, სიტყვასიტყვით: *არასდროს ვინ*
მოდიოდა“.

ორმაგი უარყოფა არ გამოიყენება მეგრულ-ლაზურშიც. ზმნის თავკიდურა პოზიციაში მყოფი უარყოფის ვა(რ) „არა“/„ვერ“ ნაწილაკი თავად მოიაზრება როგორც უარყოფის გამომხატველი გრამატიკული მოდელის ნაწილი, ასევე უარყოფის სემანტიკის განმსაზღვრელი. მაგალითად, *მითინი ვამურს სიტყვასიტყვით გადმოიცემა როგორც ვინც იენება რომ, არ მოდის*.

ბიბლიოგრაფია:

1. არაბული, ა., *ქართული მეტყველების კულტურა*. „უნივერსალი“, თბ., 2004.
2. გეგუჩაძე, ლ., „ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში“: *ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. კრებული I*, თბ., 2007, გვ. 32-40.
3. დიუმეზილი, ჟ., *ლაზური ზღაპრები და გადმოცემები* (ლაზური ტექსტის ქართული ვერსია და ლექსიკონი შეადგინა მანანა ბუკიამ). „მერიდიანი“, თბ., 2009.
4. ზექალაშვილი, რ., *ქართული ენის მართლწერის საკითხები*. „უნივერსალი“, თბ., 2004.
5. თოფურია, ვ., *შრომები, ტ. II*. „ქართული ენა“, თბ., 2002.
6. იმნაიშვილი, დ., „უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები იბერიულ-კავკასიურ ენებში“: *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV* (რედ. ი. გიგინეიშვილი), „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა“, თბ., 1953, გვ. 53-73.
7. კარტოზია, გ., *ლაზური ტექსტები: საქ. სსრ მეცნ.აკად. „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, # 4* (რედ. ალ. ბარამიძე). „მეცნიერება“, თბ., 1970, გვ. 219-232.
8. ლომია, მ., „უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები მეგრულში“: *ენათმეცნიერების საკითხები*. „თსუ გამომცემლობა“, თბ., 2013, გვ. 221-231.
9. მარგიანი-სუბარი, ქ., *უარყოფითი ფორმების წარმოება სვანურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებში* (სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი). თბ., 1978.

10. მარტიროსოვი, ა., *ნაცვალსახელი ქართველურ ენებში*, „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა“. თბ., 1964.
11. *ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი*. ჟურნალისტიკის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2002.
12. როგავა, გ., „ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში“: *იბერიულკავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. XXVII (რედ. ქ. ლომთათიძე). „მეცნიერება“, თბ., 1988, გვ. 221-226.
13. სარჯველაძე, ზ., *ძველი ქართული ენა*, „თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბ. 1997.
14. *სვანური ენის ქრესტომათია* (ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ). „თსუ გამომცემლობა“, თბ., 1978.
15. *სვანური პროზაული ტექსტები*, ტ. II, ბალსქვემოური კილო (ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა). „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა“, თბ. 1957.
16. ყიფშიძე, ი., *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, ТИПОГРАФИЯ ИМПЕРАТОРСКОЙ АКАДЕМИИ НАУКЪ, СПБ, 1914.
17. შალამბერიძე, *ქართული სწორმეტყველების ზოგი ერთი საკითხი*. „თსუ გამომცემლობა“, თბ. 1980.
18. შანიძე, ა., *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, ტ. III, თხზულებანი თორმეტ ტომად. „თსუ გამომცემლობა“, თბ. 1980.
19. შანიძე, ა., *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. „თსუ გამომცემლობა“, თბ. 1976.
20. შარაძენიძე, თ., „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში“: *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. I (რედ. ვ. თოფურიამ), „საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა“, თბ. 1946, გვ. 289-328.
21. ჭუმბურიძე, ზ., „უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი“: *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*, N2, თბ. 1970, გვ. 41-46.